განმცხადებელი : აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
თარიღი : 19-05-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 5;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ჟურნალისტები: ეკო მაღრაძე, ვასილ დაბრუნდაშვილი, ინა ცარციძე. მედიასაშუალება TV პირველი.

სადავო მასალა : 2021 წლის 21 აპრილი, გადაცემა: ,,პირველების ცენტრალური გამოშვება ეკო მაღრაძესთან და ვასილ დაბრუნდაშვილთან ერთად" 20:08:42-20:12:44 სთ.
https://www.facebook.com/watch/?v=3513535165413088

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

1. ჟურნალისტებმა დაარღვიეს ქარტიის პირველი პრინციპი, კერძოდ, მათ საზოგადოების მიმართ გამოიჩინეს რა უპატივისმცემლობა, გადამოწმების გარეშე გააჟერეს არასწორი ფაქტები, კერძოდ: 1. აფხაზეთის მთავრობის წევრებს შესაძლოა ციხეში წასვლა გაფლანგული ფულის გამო მოუწიოთ; 2. ოკუპირებულ გალის რაიონში მცხოვრები ქართველებისა და დევნილებისთვის გამოყოფილი ასი ათასობით ლარი ადრესატამდე არ მიდიოდა; 3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შემოწმების შემდეგ დაადგინა, რომ გაუჩინარებულია ჯანდაცვის ხარჯებისთვის გამოყოფილი დიდი ფული; 4. დოკუმენტებით ამტკიცებენ, რომ დევნილებს კბილების პროტეზი დაუმზადეს, თუმცა მოხუცებთან გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მათ პროთეზი არ მიუღიათ და სტომატოლოგთანაც არ ყოფილან. ხალხი კი ვინც აფხაზეთის მთავრობას სამედიცინო დახმარების თხოვნით მიმართავდა, იმდენ ხანს აცდევინეს, რომ კვლევებისთვის დაფინასების გამოყოფა უკვე საჭირო აღარ იყო. ამ პროცესში ერთ-ერთი მოხუცი გარდაიცვალა. 5. აუდიტის სკანდალური დასკვნა გენერალურ პროკურატურას უკვე გადაეგზავნა და მთავარმა საგამოძიებო უწყებამ ამ საქმეზე გამოძიება უკვე დაიწყო, სწორედ ამიტომაც არ არის გამორიცხული აფხაზეთის ჯანდაცვის არერთი მაღალჩინოსანი პასუხისგებაში მიეცეს და დაკავებების სერია დაიწყოს. 6. დიდი ალბათობით გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარებენ აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრს; 7. დღეს მასთან (მინისტრთან) მივედით სამინისტროში თუმცა ბაკარაძე TV პირველის კამერას დაემალა, შესაბამისად კითხვებიც დარჩა უპასუხო; 8. გალში მცხოვრები ქართველების და აფხაზეთიდან დევნილი მოხუცების კბილების პროტეზებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ათობით ათასი ლარი გაქრა. 9. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ჯანდაცვის სამინისტროს შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ ხალხს კბილები არ ჩაუსვეს, თუმცა დოკუმენტებში ჩინოვნიკებმა ჩაწერეს, რომ კბილის პროტეზი ყველამ მიიღო; 10. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შემოწმების შემდეგ დაადგინა, რომ ფული რომელიც აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის და გალში მცხოვრები ქართველების ჯანმრთელობას უნდა მოხმარდეს, უკვალოდ იკარგება; 11. ერთ-ერთ დევნილს თხოვნაზე დახმარება იმდენ ხანს არ გამოუყვეს, ვიდრე ადამიანი არ გარდაიცვალა. 12. კორუფციის მკვლევარები გაოგნებას ვერ მალავენ როდესაც ნახეს, რომ ფულს ჩინოვნიკები ყველაზე გაჭირვებული ადამიანების სიცოცხლის ხარჯზე აკეთებენ. 13. საქმის მასალები სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უკვე გადააგზავნა საქართველოს პროკურატურაში, რასაც შესაძლოა უკვე დაკავებების სერია მოჰყვეს. 14. აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე მედიას ემალება, თუმცა გამოძიებისათვის კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. უახლოეს მომავალში დაკითხვაზეც დაიბარებენ. აღნიშნული ჟურნალისტების მიერ სიუჟეტში გაჟღერებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, არის აბსოლუტურად არასწორი და დაუსაბუთებელი,

ჟურნალისტების მიერ არ გადამოწმებულა ფაქტები, რადგან სურდათ მხოლოდ ,,სკანდალური გადაცემა“, რის გამოც, ერთის მხრივ, უამრავი ადამიანი შეიყვანეს შეცდომაში, ხოლო მეორეს მხრივ, განზრახ გაავრცელეს უწყების იმიჯის შემლახავი, დისკრედიტაციის შემცველი, ცრუ ინფორმაცია. 2. ჟურნალისტებმა დაარღვიეს ქარტიის მე-3 პრინციპი, რადგან ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. სიუჟეტს მომზადებამდე TV პირველის ჟურნალისტებს არ მიუმართავთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრისთვის ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ასევე არ შეუთანხმებიათ მინისტრთან შეხვედრა ინტერვიუსათვის. გადამღები ჯგუფი სამინისტროში მოვიდა სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, როცა მინისტრი არ იმყოფებოდა ადგილზე. გადამღებ ჯგუფს სამინისტროს თანამშრომელმა (ნ. გრიგალაშვილი) განუმარტა, რომ მინისტრი უკვე არ იმყოფებოდა სამინისტროში, თუ სურდათ შეხვედრა მასთან და ინტერვიუს ჩაწერა, ამაზე წინასწარ უნდა შეეთანხმებინათ. თუმცა ჟურნალისტს არ უცდია არც ტელეფონით და არც კომუნიკაციის სხვა საშუალებით მინისტრთან დაკავშირება, რაც ცალსახად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ იმით, რომ სიუჟეტი გამოსულიყო სკანდალური, თუნდაც ტყუილი ინფორმაცია გაეჟღერებინათ, რომ თითქოს მინისტრი ქეთევან ბაკარაძე TV პირველის ჟურნალისტს დაემალა. არ შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს აუდიტის დასკვნა გადაეგზავნა პროკურატურას და რომ დასკვნის საფუძელზე დაწყებულია გამოძიება სამინისტოროს მაღალჩინოსნების მიმართ. დაინტერესების შემთხვევაში ჟურნალისტები მარტივად გაარკვევდნენ, რომ ჯერ კიდევ 2019 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა თავად მიმართა პროკურატურას ტენდერში გამარჯვებული პირის ქმედებებთან დაკავშირებით და გამოძიება სწორედ მინისტრის მიმართვის საფუძველზე დაიწყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ საფუძველსმოკლებულია და აბსოლუტური ტყუილი, რომ თითქოს გამოძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების მიმართ მიმდინარეობს. სიუჟეტი ისე მომზადდა და გავიდა ეთერში, რომ ჟურნალისტები არ გაცნობიან არც სახელმწიფო აუდიტის დასკვნას, რასაც იშველიებენ იმის დასტურად, რომ უწყების ხელმძღვანელი და მაღალჩინოსნები დანაშაულებრივ ქმედებებს ახორციელებდნენ, რადგან, სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში არსად არ არის მითითებული უწყების მაღალჩინოსნების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ, მათ შორის, ბიუჯეტის ფულის გაფლანგვის თაობაზე. არადა ზემოთ ხსენებული ჟურნალისტები სიუჟეტში გაჟღერებულიე.წ. „ფაქტების“ წყაროდ სახელმწიფო აუდიტის დასკვნას უთითებს. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ აუდიტის დასკვნა არც პირდაპირ და არც ირიბად არ შეიცავს მსგავს ინფორმაციას და ფაქტებს. ამასთან, განგიმარტავთ, რომ დასკვნაში მითითებული გარემოების გამო ჯერ კიდევ 2019 წელს თავად მინისტრმა მიმართა პროკურატურას და გამოძიება დაწყებულია დასკვნის მომზადებამდე 2 წლით ადრე, არა სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის, არამედ მინისტრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ასევე, გამოძიება დაწყებულია არა სამინისტორს მაღალჩინოსნების, არამედ ტენდერში გამარჯვებული კერძო პირის მიმართ. შესაბამისად, არ არსებობს წყარო, რომელზე დაყრდობით (მითუმეტეს გადამოწმების საფუძელზე) ჟურნალისტებს შეექმნებოდათ გონივრული ვარაუდი მათ მიერ მითითებული ფაქტების სისწორეზე. გონვრული ვარაუდი გვაქვს იმისა, რომ აღნიშნულმა ჟურნალისტებმა განზრახ დაამახინჯეს ფაქტები, რათა შეექმნათ სკანდალური სიუჟეტი და ამით შეცდომაში შეიყვანეს საზოგადოება. 3. TV პირველმა, მიუხედავად ჩვენი წერილობითი მიმართვისა, არ შეასწორა ეთერში გაშვებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოებ, რიტაც დაარღვია ქარტიის მე-5 პრინციპი. მიმდინარე წლის 29 აპრილს შპს ,,ტელეკომპანია პირველი“-ს დირექტორს ბატონ ვახტანგ წერეთელს მივმართეთ #1809 წერილით, რათა შეესწორებინათ სიუჟეტში გაჟღერებული არასწორი ფაქტები, თუმცა მათი მხრიდან დღემდე არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. 4. სადაო სიუჟეტში ჟურნალისტების მიერ დაირღვა ქარტიის მე-11 პრინციპი, რაც გულისხმობს ფაქტის განზრახ დამახინჯებას. აღნიშნულის საფუძველს გვაძლევს ის გარემოებები, რომ ჟურნალისტებმა სიუჟეტში გარემოებები წარმოაჩინეს მტკიცებით ფორმაში და იმგვარად, რომ თითქოს სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ ფულის გაფლანგვა დადასტურებული ფაქტია; რომ თითქოს აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და სამინისტროს მაღალი თანამდებობების პირთა მიმართ დაწყებულია გამოძიება; თითქოს აღნიშნული სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მიერ მოხდა თანხების მითვისება; თითქოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა გადაეგზავნა პროკურატურას, რის გამოც დაწყებულია გამოძიება და ამის გამო აფხაზეთის მთავრობის წევრებს გაფლანგული ფულის გამო შესაძლოა ციხეში წასვლა მოუწიოთ; თითქოს ადგილი აქვს კორუფციულ ქმედებებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან; თითქოს ერთ-ერთ დევნილს დახმარება იმდენ ხანს არ გამოუყვეს, ვიდრე ადამიანი არ გარდაიცვალა; თითქოს მინისტრი ქეთევან ბაკარაძე TV პირველის ჟურნალისტს დაემალა.დაამახინჯეს ფაქტი, რომ თითქოს აუდიტის დასკვნა გადაეგზავნა პროკურატურას და რომ დასკვნის საფუძელზე დაწყებულია გამოძიება სამინისტოროს მაღალჩინოსნების მიმართ. დაინტერესების შემთხვევაში ჟურნალისტები მარტივად გაარკვევდნენ, რომ ჯერ კიდევ 2019 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა თავად მიმართა პროკურატურას ტენდერში გამარჯვებული პირის ქმედებებთან დაკავშირებით და გამოძიება სწორედ მინისტრის მიმართვის საფუძველზე დაიწყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ საფუძველსმოკლებულია და აბსოლუტური ტყუილი, რომ თითქოს გამოძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების მიმართ მიმდინარეობს. სიუჟეტი ისე მომზადდა და გავიდა ეთერში, რომ ჟურნალისტები არ გაცნობიან არც სახელმწიფო აუდიტის დასკვნას, რასაც იშველიებენ იმის დასტურად, რომ უწყების ხელმძღვანელი და მაღალჩინოსნები დანაშაულებრივ ქმედებებს ახორციელებდნენ, რადგან, სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში არსად არ არის მითითებული უწყების მაღალჩინოსნების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ, მათ შორის, ბიუჯეტის ფულის გაფლანგვის თაობაზე. არადა ზემოთ ხსენებული ჟურნალისტები სიუჟეტში გაჟღერებულიე.წ. „ფაქტების“ წყაროდ სახელმწიფო აუდიტის დასკვნას უთითებს. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ აუდიტის დასკვნა არც პირდაპირ და არც ირიბად არ შეიცავს მსგავს ინფორმაციას და ფაქტებს. ამასთან, განგიმარტავთ, რომ დასკვნაში მითითებული გარემოების გამო ჯერ კიდევ 2019 წელს თავად მინისტრმა მიმართა პროკურატურას და გამოძიება დაწყებულია დასკვნის მომზადებამდე 2 წლით ადრე, არა სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის, არამედ მინისტრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ასევე, გამოძიება დაწყებულია არა სამინისტორს მაღალჩინოსნების, არამედ ტენდერში გამარჯვებული კერძო პირის მიმართ. შესაბამისად, არ არსებობს წყარო, რომელზე დაყრდობით (მითუმეტეს გადამოწმების საფუძელზე) ჟურნალისტებს შეექმნებოდათ გონივრული ვარაუდი მათ მიერ მითითებული ფაქტების სისწორეზე. გონვრული ვარაუდი გვაქვს იმისა, რომ აღნიშნულმა ჟურნალისტებმა განზრახ დაამახინჯეს ფაქტები, რათა შეექმნათ სკანდალური სიუჟეტი და ამით შეცდომაში შეიყვანეს საზოგადოება.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები